# იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სალამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

სამშაბათი 5 აგვისტო

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი"
თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 122 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 122


უოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „იმერეთი" —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

| გაზეთის ფასი: | | |
|---|---|---|
| | ერთი წლით . . . . | 7 მანეთი. |
| | ნახევარი წლით . . . . | 4 მანეთი. |
| | ერთი თვით . . . | 4 აბაზი. |
| | და ცალკე ნუმრის . . . | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთიეთაზ ისწ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ" Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

---

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის დროს გარდაიცვალა საზოგადოების სტამბის გამგე

### გიორგი მიხეილის ძე სულეიმანიშვილი

გამოსვენება დანიშნულია 5 აგვისტოს ნაშუადღევის 5 საათზე 1 ალექსანდროვის ქუჩიდან რკინის გზის სადგურზე.

---

თედოსია (ქოტო) როსტომის ასული სულეიმანიშვილისა, როსტომ ლაზარეს ძე და მარიამ დიმიტრის ასული კოხრეიძეები, სამსონი, გიორგი და ისიდორე, პელაგია როსტომის ასული მუმლაძისა, ნინო როსტომის ასული კოხრეიძე და გიორგი ესტატეს ძე მუმლაძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი და მეორე საყვარელი სიძისას, მესამენი და მეოთხენი ცოლის ძმები და მეხუთე დაუვიწყარი ქვისლის

### გიორგი მიხეილის ძის სულეიმანიშვილის

გადაცვალებას, რომლის გამოსვენება არის დანიშნული დღეს სალამოს 5 საათზე, პირველი ალექსანდრეს ქუჩიდან (დოლაბერიძის სახლი) რკ. გზის სადგურზე.

---

წ. კ. ქუთაისის განყოფილების სტამბის მუშები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავიანთ ძვირფას სტამბის გამგის

### გიორგი მიხეილის ძის სულეიმანაშვილის

გადაცვალებას, რომლის გამოსვენება დანიშნულია 5 აგვისტოს სალამოს ხუთ საათზედ 1 ალექსანდროვის ქუჩიდგან (დოლაბერიძის სახლი) რკინის გზის სადგურზე.

---

კნეინა ბარბალე (ბაცუნია) დადეშკელიანისა—გელოვანის ასული და თავადი ლევან დადეშკელიანი შვილებითურთ ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას პირველი საყვარელი მამისას, მეორე სიმამრისას და დანარჩენნი ძვირფასი ბაბუასას

### თ-დ გრიგოლ ფარნაოზისძე გელოვანისას,

რომლის ტირილი და დაკრძალვის დღე არის დანიშნული ამა აგვისტოს 5 საათზე, დღით სამშაბათს დ. ლაილაში (ლეჩხუმის მაზრა).

---

ექიმის იკ. ბოკერიას

## საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

---

## ამ დღეებში

ქუთაისში გამოვა ალმანახი

## „ქუთაისის საქმიანობა".

ალმანახში დასაბეჭდი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Свановская 40. ალმანახი გამოვა ქალაქის ხმოსანთა არჩევნების მოახლოების გამო და შიგ მოთავსებული იქნება წერილები ქალაქის თვითმმართველობის მოღვაწეობაზე.

---

ქ უ თ ა ი ს ი

## პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დილით.**

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ვ. პ. **მოსეშვილი** შინაგანი და ნევრვების.

| | |
|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა. | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის | 10—11 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, სახებით ყოველ დღე | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| გ. ა. ჭოღოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | 12 1/2 2მ |

**სალამოთ.**

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით | 4 1/2—5 1/2 |
| გ. ა. ჭოღოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | 5 1/2—6/ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოღოშვილი**

---

გ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** **ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და სალ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

---

**ექიმი** **მ. დ. ბეთანოვი** იღებს **კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ** დილის 9—12 ს., სალამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

---

**ექიმი** **ვ. დ. ნასარიძე** დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი, ბოვშების და ნერვების სნეულებანი) დილით 9 2 საათამდე და სალამოთი 5—7 საათამდე თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ აფთიაქის პირდაპირ).

---

**ქ. ქუთაისში**

კბილის ექიმი

### ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. სალ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

---

**ექიმი** **კ. ტყეშელაშვილი** ღებულობს ავათმყოფს (ვენერიული, კანის, და სიფილისისა) **იკვლევს გასსერმანის მეთოდით სისხლს.** დილით 9—1, სალამოთი 6—8 ვიტუშინსკის სახლი, რიონის პირათ პუშკინის ქუჩიდან შესახვევი.

---

**ექიმი** **ი. ა. ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., სალ. 5—8 საათ.

---

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი გ. პ. **მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

---

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა **კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე** დილით 12—2 საათ. სალამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

---

**დამეკარგა ატესტატი 471,**

ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეს ალექსანდრე გუგუციძეს. მნახველს მიეცემა შესაფერი ჯილდო და ვსთხოვ წარმოადგინოს გაზეთ „იმერეთის" რედაქციაში.

---

# სრულიად ევროპის ომი

## დეპეშები

პეტ. დეპ. სააგენტოსაგან.

4 აგვისტო.

**პეტერბურგი.** სუვალკისა და კოვნოს გუბერნიებში მტრის მფრინავ მზვერავებთან ბრძოლა ჩვენი ჯარისაგან კარგათ მიმდინარეობს.

**პარიზი.** ვეზულიდან იტყობინებიან, რომ ჯარის სამხედრო მოქმედება მიმართულია ამზეირასკენ. ჯარის გადაყვანა საფრანგეთში სრულებით დასრულებულია. გერმანელებით ორი კრეისერისაგან ზარბაზნების დაშენას ფილიპვილიაზე უშედეგოთ იყო. აფრიკელების ჯარი, რომელიც შესდგება უმეტეს ნაწილათ უცხო ტომის მსროლელთაგან და შეადგენენ ჯარის ორ კორპუსს, თავს იყრის ბელფორის რაიონში.

**მინსკი.** გუბერნიის პოლონელი მიწისმფრობელობის წარმომადგენლების მიერ უქვეშევრდომილესი გრძნობების გამოხატვის საპასუხოთ ხელმწიფე იმპერატორისაგან ოლქის უმთავრესმა უფროსმა შემდეგი უმაღლესი დეპეში მიიღო: გადაეცით პოლონელ მიწის მფლობელობის წარმომადგენლებო ჩემი გულწრფელი მადლობა უქვეშევრდომილესი გრძნობების გამოცხადებისათვის. იმედი მაქვს, წყალობითა ღვთისათა საერთო ჩვენს მტერზე გამარჯვებისა, მთელი სლავიანების შეერთებისა და მის შემადგენელ ხალხების ბრწყინვალე მომავლისა.

ნიკოლოზი.

**პარიზი.** 2 აგვისტოს საფრანგეთის სამხედრო 200 ველოსიპედისტმა ალყა შემოარტყა გერმანელების 400 კაცისაგან შემდგარს რაზმს. ბევრი მოკლეს, 50 ტყვედ წაიყვანეს. ქალაქისა და მთის „სავალის" გასასვლელი გზა საფრანგეთის ჯარმა დაიჭირა, აგრეთვე დაიჭირა იქვე მდებარე მაღლობი ადგილი. საფრანგეთის არტილერიამ შემოუარა გერმანელების პოზიციას და ამ ნაირათ შეუმსუბუქა ქვეითი ჯარს მიზნის მიღწევა. ფრანგებმა დაკარგეს მხოლოდ რამდენიმე კაცი.

სააღში იპოვნეს ურიცხვი სამხედრო სურსათი, რაც მოწმობს გერმანელის ჯარის უწესრიგო უკუქცევას. გერმანელების ჯარი დიესტისთან დამარცხდა და გესელისკენ დაიხია. მიუხედავათ იმისა, რომ ჯარს დაღლილობა ეტყობოდა, მაინც ცდილობდა ხელახალ იერიშის მოტანას. ბელგიის ჯარის მარჯვენა მხარეზე გერმანელების ცხენოსან ჯარის დივიზიისაგან იერიშის მიტანა მოგერებულ იქნა. ინგლის-საფრანგეთის შეერთებული ჯარი საფრანგეთის ალჟირის კონტინენტზე გადაყვანას იცავს, სამხედრო სურსათის მიწვდა მოკავშირეთა ჯარისთვის თავისუფლათ სწარმოებს.

**კოპენჰაგენი.** ინგლისის მიერ ოსმალეთისადმი ულტიმატუმის წაყენების შესახებ გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმებს ლონდონიდან უარყოფენ.

**პარიზი.** ბელგიისა და საფრანგეთის ჯარებს შორის კავშირი შეიკრა, რომელიც გამოიხატება იმ აფიცრების გაცვლა-გამოცვლაში, რომელნიც უმთავრეს ბინებს ხელმძღვანელობენ. იმ დოკუმენტებს შორის, რომელიც გერმანელ დაჭრილსა და მოკლულ ტყვეებს აღმოაჩნდათ იყო პატარა ბარათები, საიდანაც ჩანს, რომ გერმანელების ჯარი სურსათის ნაკლებობას განიცდის და მალე სასოწარკვეთილებამდი მივლენ. მთავრობამ გადასწყვიტა გამოსცეს ყოველდღიური სამხედრო ბიულეტენი. სამხედრო ბიულეტენი იქნება მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის ვივიანის მფარველობის ქვეშ.

**ლონდონი.** იტყობინებიან, რომ ლიეჟთან გერმანელებმა მდინარის მარჯვენა მხარე, მდებარე ფორტებზე იერიშის მიტანასა და ზარბაზნების სროლას თავი დაანებესო. მთელი ყურადღება და ძალა მარცხენა ფორტებისკენაა მიქცეული, განსაკუთრებით ესვრიან პორტპონტისს. ბრიუსელიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთის ჯარის ბელგიის ტერიტორიაზე გადაყვანა დასრულდაო.

ქალ. ნამიურას მცხოვრებთ იარაღი აყარეს, რათა გერმან. არ მისცენ საბუთი სამაგიეროს გადახდისა. ბელგიის პოლკოვნიკი მარტოვილეტი გენერალ ჟოფრის უმთავრეს შტაბში გაამწესეს. უკანასკნელი ცნობებით გერმანელები **ტირლმონსთან** საერთო იერიშის მიტანას აძლიერებენ. იმათი ქვეითა ჯარი **ტონგრსა** და **სენდრონდისკენ** იწევს. **დიესტსა და არშოტასთან** ელიან იერიშის მიტანას გერმანელების ჯარის რამდენიმე კორპუსის მიერ. მოწინავე ჯარი გერმანელებისა გაჭიმულია **სენტრონდსა** და **გასელტას** შუა. გერმანელების ცხენოსან ჯარს იერიში მიაქვს **გასელტაზე** მარჯვენა მხარიდან. სამხედრო ველოსიპედისტები იტყობინებიან, რომ გერმანელები დაჭრილებს ხოცავენო.

**ლონდონი.** ომის შესახები ცნობები, რომელიც დღემდი ძლიერ ნაკლებათ იყო, ახლა, შესაძლებელია, სრულებით მოისპოს, ვინაიდან ინგლისის ბეჭვდითი სიტყვის ბიურო არ იძლევა არავითარ ცნობას ინგლისის ჯარების მოძრაობის შესახებ; ისევე იქცევიან ფრანგები და ბელგიელები. ომის მიმდინარეობა სრული საიდუმლოებითაა მოცული. ბეჭვდითი ბიურო აფრთხილებს საზოგადოებას არ—დაუჯეროს გავრცელებულ ხმებს—და აცხადებს, რომ გამარჯვებისა და დამარცხების შესა-

ხები ცნობები ოფიციალურათ ეუწყება საზოგადოებას.

**ნიში.** 31 ივლისს საღამოთი ავსტრიის ჯარი არტილერიის დახმარებით ცდილობდა სავაზე გადასვლას. სერბიის არტილერიამ, მიაყენა—რა დიდი ზარალი, არეულათ უკან დაახევია მტერს. მიუხედავათ ამისა, იმავე დროს მტერმა შესძლო გადასულიყო დრინაზე ლოზნიცის ახლოს და მდ. სავაზე, შობაას ახლოს. სერბიელების არტილერიამ ბელგრადსა და სმედერევოს შუა ბუქსირი შალანდით ავსტრიის სალდათებით დაღუპა. ამ დროს მდინარის მეორე ნაპირას გამოჩნდა მტრის პოლკი, ცხენოსან ჯარის ერთი დივიზიით. სერბიელების ჯარმა გაფანტა მტერი. მტერმა თავისი განზრახვა—ტეკიის ახლოს მდ. დუნაიზე გადასვლის შესახებ, ვერ შეასრულა. ბელგრადზე სროლა ყოველდღამ გრძელდება.

**პეტერბურგი.** 3 აგვისტო. საგენერლო შტაბის უმთავრესი სამმართველო ოფიციალურათ იუწყება, რომ 31 ივლისს კელეცის მიდამოებში ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა გაფანტა 800—მდი შევარდნები (სოკოლები), რომელთაც იფარავდა ავსტრიის მეათე დრაგუნის პოლკის ნაწილები. კელეცი და ხენცენი მოპირდაპირეებისაგან გაწმენდილია. ამავე დღეს გერმანიის ქვეითი ჯარის დივიზიის პირველმა ნაწილმა იერიში მიიტანა ვუჟოვ-ბოიარისა და ენდკუნენ-კიბეიკის ფრონტზე. არტილერიის სროლის შემდეგ მტერმა უკან დაიხია.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ, რათა იმპერიის მკურნალთა რიცხვი მალე შეივსოს, საჭიროთ დაინახა—მიეცეს საშუალება იმ პირთ, რომელთაც უფლება აქვთ მიმდინარე წელში ჩააბარონ ევზამენი მკურნალის ხარისხის მისაღებათ, მიიღონ დიპლომი მკურნალობისა მცირე გამოცდის შემდეგ. მინისტრთა საბჭომ პრინციპიალურათ მოიწონა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში შემოიღონ რეგისტრაცია საზღვაო გემებისა და საზღვაო იპოტეკური კრედიტისა.

**არხანგელსკი.** ახალი შემთხვევა შავი ჭირით ავათ გახდომისა არ არის.

**პეტერბურგი.** სააგენტოსაგან მიღებული მთელი რიგი დეპეშებისა ამოწმებს, რომ იმპერიის სხვადასხვა ქალაქის მცხოვრებნი მზათ არიან ხელი გაუწოდონ და ფართო დახმარება აღმოუჩინონ დაჭრილ და ავათმყოფ ჯარისკაცთ და მათ ოჯახებს.

**ხარკოვი.** ბანკების წარმომადგენელთა და სამხრეთის რუსეთის სამთამადნო სიეზდების საბჭოს თათბირმა დაადასტურა დონეცის ბასეინის სამთამადნო მრეწველობის წარმოების სიძნელე.

**ვარნა.** გემი ცესარევიჩი „ალექსი ნიკოლაევიჩ“ კონსტანტინოპოლის გზით ულოცმანოთ შევიდა. ვარნაში ცნობაა რომ ხმა ბურგოსში მინების ჩაყრის შესახებ ყალბია.

**ლისაბონი.** სენატის პალატის განსაკუთრებული სესიის სხდომაზე მინისტრპრეზიდენტმა განაცხადა: პორტუგალია არავითარ შემთხვევაში არ უარყოფს იმ ვალდებულებას, რომელსაც ავალებს მას ინგლისის კავშირის ხელშეკრულობა.

ეს განცხადება მაინც იმას არ მოასწავებს, რომ პორტუგალიამ ახლავე უარყოს ნეიტრალიტეტი.

**ლონდონი.** აღმოსავლეთ პრუსიასა და აგრეთვე ავსტრიის ტერიტორიაზე რუსის ჯარისაგან იერიშის მიტანის შესახებ ცნობამ და დიდი თავადის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის პოლონელებისადმი მოწოდებამ აქ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ევროპის თავისუფლებისათვის გიგანტური ბრძოლის ბრწყინვალე დასასრულის რწმენა შეურყეველია.

**პეტერბურგი.** უწმიდესმა სინოდმა გამოაქვეყნა ლოთობასთან ბრძოლის შესახებ მიმართვა, სადაც, აჩვენებს—რა ევროპის ღღევანდელი ომის მეოხებით მძიმე მომენტის დადგომას, როდესაც უფრო მეტათ საჭიროა ხალხის სულიერი ამაღლება,—მოუწოდებს არქიეპისკოპოზებს მართლმადიდებელი ეკლესიისას ენერგიულათ უქადაგონ ხალხს სიფხიზლის შესახებ საეკლესიო კათედრებიდან. ხელს აწერენ მიმართვაზე უწმ. სინოდის წევრები, პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტ ვლადიმირის მეთაურობით.

**ლონდონი.** ვენიდან იტყობინებიან, რომ ვიცე ადმირალი ვიალი დაინიშნა ავსტრიის საზღვაო მინისტრათ, ნაცვლათ ბილლისა, რომელმაც თავი დაანება სამსახურს.

**რომი.** გაზეთები მთაშაველებისაგან სკუტარის დაჭერას უარყოფენ.

**პარიზი.** ოფიციალურათ იუწყებიან: გერმანელების განზრახვამ ანაზდეული იერიში მიეტანა ნანსზე—უნაყოფოთ ჩაიარა. ასევე უნაყოფოთ ჩაიარა მათმა განზრახვამ ბელგიის საზღვარზე, რადგანაც ლიეჟის ფორტებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. იერიშის მოგერებას ხელი შეუწყო პირველათ ბელგიის ჯარის ძლევა-მოსილობამ და საფრანგეთის ცხენოსან ჯარის ჩარევამ; მეორეთ, საფრანგეთის ჯარის წესიერმა მობილიზაციამ და სულ უმნიშვნელო ხანში ჯარის უცბათ თავმოყრამ; მესამეთ, საფრანგეთის ჯარის მოკავშირეთა ჯართან შეთანხმებულმა მოქმედებამ და მეოთხეთ, ინგლისის ზღვაზე ბატონობამ. ინგლისის უფროსმა მთავარ სარდალმა ფრენჩმა მინისტრ პრეზიდენტი პუანკარე ინახულა.

**ნიუიორკი.** გაიხსნა პანამის არხი. ამერიკის სამხედრო გემმა ანკონმა ოფიციალური სტუმრებით არხი გაიარა.

**კოპენჰაგენი.** ბერლინის გაზეთები იუწყებიან, რომ გერმანიის მთავრობამ მოახდინა განკარგულება დააკავონ ომის დასრულებამდი ის 45000 რუსის სოფლის მუშები, რომელნიც გერმანიაში იმყოფებიან, რათა მცხოვრებლებს მათ ცეცხლი არ წაუკიდონ და აჯანყება არ მოახდინონ. ლანდრატების მოთხოვნით, მცხოვრებლებს დაურიგეს თოფები და პატრონები, რათა უყარაულონ მუშებს.

**კოპენჰაგენი.** გამოქცეულ რუსების მოსვლა კოპენჰაგენში თანდათან მცირდება. რუსი მგზავრები დიდი მადლობით იხსენიებენ მზრუნველობის გამოჩენისათვის რუსეთის მისიას. განსაკუთრებით დიდი მადლობელი არიან ბარონ ბუქსგევდენისა, ღვდლის შჩელკუნოვისა, რომელთაც უანგარო ენერგია და შრომა დახარჯეს, რომ მგზავრებს რაიმე გაჭირვება არ განეცადათ.

**პარიზი.** გამოქვეყნდა დეკრეტი, ეროვნული თავდაცვის საჭიროებისათვის, 2,754,000,000 ფრანკის კრედიტის გახსნის შესახებ.

**პეტერბურგი.** ავსტრიის ჯარის მეოთხე გუსარისა და 95-ე ქვეითი პოლკის ნაწილები გადავიდნენ მდ. ზბრუჩზე სატანოვისა და გუსიატინის შუა და გაემართნენ აღმოსავლეთისკენ მდინარე სმოტრიჩის ხეობაში. ეს ნაწილები მტრისა ჩვენმა ჯარმა გაფანტა. მათ უკან დაიხიეს და დასტოვეს ტყვეები. ავსტრიელების რაზმმა, რომელსაც სურდა იერიში მოეტანა კამენეც-პოდოლის გასწვრივ, იმყოფება ჩვენს საზღვართან. სოფელ ჩერნოკოზიცის რაიონში, ჩვენი მფრინავი—მზვერავი რაზმი მოვიდა მტრის ზინის შუა გულში. მზვერავებმა საგულისხმო და ძვირფასი ცნობები მოგვცეს: ორი გერმანიის ჯავშნოსანი გემი უშედეგოთ ესვრის პალანგენის სადამოქნოს; გერმანელების ცხენოსანი რაზმი პილკალენისა და ხობენტოვის რაიონში გროვდება, ქვეითი ჯარი-კი სტალუპენენთან იყრის თავს. ლანდვერების (სათადარიგო ჯარი) ნაწილი შმალენინკენის რაიონიდან სამხრეთისაკენ გაემგზავრა.

**ქაირო.** მთავრობამ გამოაცხადა, რომ ეგვიპტა იმყოფება მეომარ სახელმწიფოს მდგომარეობაში. ეგვიპტეს დაცვა ინგლისს მიანდო.

**ნიში.** ვიშეგრადის ახლო სუხოგორა და მდინარე ლიმთან ბუიაკი სერბიელებმა დაიკავეს. მტერი ყოველი მხრიდან მოიგერიეს.

კურაკჩიცთან ლოზნის პირდაპირ მტერმა მდინარე დრინაზე ხიდი გადვა და მდინარის ორ ნაპირზე პოზიცია გაამაგრა. ლოზნიცის პირდაპირ პოზიციებს სერბიელები იჭერენ. ღამემ მშვიდობიანათ ჩაიარა.

**სოფია.** ოპოზიციურ გაზეთებში დაბეჯითებით სწერენ ბულგარეთის რუსეთთან და სამთა შეთანხმების კავშირთან საერთო იდეის შესახებ და იწონებენ მთავრობის სრული ნეიტრალიტეტის ნოტას. გაზეთები ეჭვს გამოსთქვამენ, რომ ნეიტრალიტეტი დაცული იყოს ბოლომდი. ფიქრობენ, რომ ბულგარეთს რუსეთთან შეერთება მოხდებაო.

**ვარშავა.** ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა შემდეგი უმაღლესი დეპეშა მიიღო: დიდათ მასიამოვნა იმ ცნობამ, რომ ვარშავის სამხედრო ოლქში სათადარიგო ჯარის კაცთა მოწვევის საქმე ბრწყინვალეთ მიმდინარეობს. გულით მახარებს აგრეთვე ის გარემოება, რომ მთელი მხარის მცხოვრებნი მამულიშვილურ გრძნობით აღფრთოვანებულა და მზათ არის ერთი ჩემის სიტყვით ჩადგენ მებრძოლთა შორის და დაიცვან ჩვენი საერთო სამშობლო ჩვენისა და მთელი სლავიანობის დაუძინებელ მტრებისაგან. მოგანდობთ თქვენ გამოუცხადოთ ჩემი მადლობა პოლონეთის სამეფოს ყველა მკვიდრს იმ შეურყეველი სიყვარულისა და ერთგულობისათვის, რომელიც გამოიჩინეს მე და მთელს რუსეთს ჟამსა განსაცდელისასა. ნ ი კ ო ლ ო ზ ი.

**ტოკიო.** გამოცხადდა დეკლარაცია იაპონიის მთავრობისა, რომლითაც აცხადებენ, რომ შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დასაცავათ მობილიზაცია უზრუნველყოფილია. იაპონია უკვე შეუდგა იმ ინტერესების დაცვას, რომელიც გათვალისწინებულია ინგლის-იაპონიის კავშირით, რისთვისაც მიმართა გერმანიას და მოსთხოვა დაუყონებლივ გაიყვანოს იაპონიისა და ჩინეთის ზღვებიდან თავისი ხომალდები, ან იარაღი ჩამოხსნას. იაპონია მოითხოვს აგრეთვე, რომ უსასყიდლოთ გადაეცეს მას ყველა კონცესია კიაოჩაოში 2 ოკტომბრამდი იმ მიზნით, რომ შემდეგ იგინი გადაეცეს ჩინეთს. თუ ვინიცობაა ათ აგვისტოს დილის 12 საათამდი ეს მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული არ იქნებიან, იაპონია თავის მოქმედების უფლებას იტოვებს.

**პარიზი.** გაზეთები სავსეა ვრცელი წერილებით უავგუსტოესის მთავარსარდლის პოლონერთადმი მოწოდების შესახებ. გაზეთები აღფრთოვანებით ეგებებიან ამ მოწოდებას „ეხოდეპარი“ ამბობს: ეს მოწოდება შედეგია სამართლიანობისა და მაღალსულოვნობისა. ლანტერნი აცხადებს: მოწოდება პოლონელთადმი ნაყოფია დიდსულოვნებისა და უკეთილშობილესის ხასიათისა. სხვა გაზეთები ამბობენ, რომ ეს მოწოდება მთელი მოვლენაა, რომელსაც შეიძლება მოყვეს თვალსაჩინო შედეგიო. პარიზში აბსენტის გაყიდვა აკრძალეს. საფრანგეთის ადმინისტრაციამ მაროკოში გერმანელთა მფარველობა მოსპო. შეიპყრო აგრეთვე გერმანიის ბევრი გემი მაროკოს ნავსადგურში და ამით დაირღვა ალგეზირასის [illegible] გერმანელების [illegible].

**პეტერბურგი.** შვეციის გაზეთების ცნობით, გერმანიის ჯარის მთავარსარდლებათ არიან. დასავლეთ ფრონტზე გენერალი ფონმოლტკე, ბელგიაში—გენერალი ფონბიულოვი, აღმოსავლეთის ფრონტზე—გენერალი ფონ-პრიტვიცც-ფრენი. ფიქრობენ, რომ ავსტრიის ჯარში ამ ჟამათ ხდება ახალი განაწილება კორპუსებათ. ოსმალეთის მიერ ფრაკიაში ჯარის გადაყვანა ცოტა არ იყოს შემცირდა.

**პარიზი.** სამხედრო სამინისტრო ოფიციალურათ იუწყება, რომ თვალსაჩინო ბრძოლა დაიწყო ბლომონ—სირე აფრიკულის მიდამოებში, სადაც ფრანგები წააწყდნენ ბავარიის ჯარის კორპუსს. ბრწყინვალე იერიშის შემდეგ ფრანგებმა დაიჭირეს სოფლები ბლომონი და სირე და ამ სოფლებს იქით მდებარე სიმაღლეები. გერმანიის ჯარის რაზმები უწესრიგოთ დაიფანტა და გზაზე სტოვებდენ დაჭრილებსა და მკვდრებს. ფრანგებმა შეიპყრეს ბევრი ტყვე და ზემო ელზასისკენ იხევენ. ფრანგებმა დაიპყრეს ქალაქი ტალნი. ტყვეები ირწმუნებიან, რომ მე-15 კორპუსის გენერალი დეიმლინგი სტენბლეიზოვთან მომხდარ ბრძოლაში დაიჭირა. ფრანგებმა გერმანელებს წაართვეს დროშა. ვერდენიდან დასაზვერავათ გაფრინდა ორი ჰაეროპლანი. ქალაქ მეტცზე რომ გადაფრინდენ. ყუმბარა ჩამოაგდეს იმ ადგილს, სადაც გერმანელების ცეპელინები იყო. გერმანელებმა 200-ჯერ ესროლეს ზარბაზანი, მაგრამ საფრანგეთის მფრინავები გადარჩენ და მშვიდობით დაბრუნდენ ვერდენში. ბუიონთან ფრანგებმა შეიპყრეს გერმანიის ჰაეროპლანი, რომელზეც იყო ორი აფიცერი. პილოტი დაჭრილია.

**პეტერბურგი.** მათი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, მემკვიდრე ცესარევიჩი ალექსი ნიკოლოზის ძე და უავგუსტოესი ქალები იმპერატორისა სამს ამა აგვისტოს პეტერგოფიდან მოსკოვს წაბრძანდენ. ხელს აწერს სასახლის მინისტრი გენერალ-ადიუტანტი გრაფი ფრედერიკსი.

## უკანასკნელი ცნობები.

### ბრიუსელი.

გერმანელ ტყვე სალდათებს ყველას უნახეს რუქები, სადაც აღნიშნულია რომელ დღეს რა ადგილი უნდა აეღოთ გერმანელებს. ბრიუსელი უნდა ყოფილიყო

# ეჭვის მსხვერპლი.

I.

გაზაფხულის ღამე იყო...

სოფელი უკვე ღრმა ძილს მისცემოდა: არსად სინათლე, არც ხმაურობა. მხოლოდ აქა-იქ ძაღლების ჩვეულებრივი ყეფა თუ არღვევდა ხოლმე ირგვლივ გამეფებულ მყუდროებას.

ბნელოდა...

სოფლის მივარდნილ კუთხეში განკერძოებით იდგა ერთი ღარიბათ მორთული ქოხი, რომლის სარკმლიდანაც გამონაშუქი ჯერ კიდევ ოდნავათ მბჟუტავ ჭრაქის სხივი ჩვეულებრივად უსწორავდა გულს ჯოჯოხეთისებურ სიბნელეს...

სალომე,—ასე ეძახდენ მეზობლები ამ ქოხის 60 წლის დიასახლისს,—დიდ ფაცა-ფუცში იყო: ელყობოდა, რომ ვიღაცას ელოდა.

II.

ერთი კვირა არ გასულიყო ჯერ, რაც რომ სალომეს პირტიტველა ვაჟზე ახლად ჯვარდაწერილმა რძალმა ღია ბარათი მიიღო თავის ქმრისაგან, რომელიც ამ ჟამად თფილისში იმყოფებოდა მზარეულათ ერთს შეძლებულ მდიდართან და რომელსაც ამავე დროს საკუთარი სასტუმროც ქონდა დაქირავებული...

როგორც წერილიდან ჩანდა, ვასიკოს სალომეს შვილს—განზრახვა ქონდა ახალგაზრდა ცოლითა და დედით თფილისში სამუდამოთ გადასახლებულიყო. ყოველმავე ამას ვასიკო, რასაკვირველია, გაკვრით ეხებოდა, ხოლო წერილს ასე აბოლოებდა: „დღეისწორზე მელოდეთ; მე და კოწია ერთად მივდივართ. შენი ვასო“..

რასაკვირველია, რძალ-დედამთილი დიდი აღტაცებით მიეგებენ ასეთ სასიხარულო ამბავს: სოფლურ ცხოვრების ქალაქურ ცხოვრებათ შეცვლა არც ისე ადვილი საქმეა, და რძალ-დედამთილის სიხარულსაც საზღვარი არ უჩანდა. და თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ ვასიკოს მამა თფილისში გადაიცვალა და იქვე იქნა დასაფლავებული, სალომესთვის თფილისში გადასახლება ერთი მხრით სანუგეშოც იყო.

მეტი არ იქნება დავურთოთ, რომ სალომეს სოფლიდან ქალაქში გადასახლების ამბავი მალე მთელს სოფელს მოედვა და მეზობლებში,—უფრო კი დედაკაცებში—დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საქმე იმაშია, რომ სალომეს კუდიანობისა და თვალთმაქცობის სახელი ქონდა დამსახურებული. ასე გაშინჯეთ მისი სახელის ხსენებასაც კი პირჯვრის წერით შეხვდებოდენ ხოლმე, თითქოს ამითი სურდათ მათ დაეტუქსათ სალომეში მოკალათებული ბოროტი სული...

ჩვენის აზრით, სალომე უფრო ფულების მოყვარე ქალი იყო და მიზნის მისაღწევათ „უკიდურეს“ ზომებსაც მიმართავდა ხოლმე... მიუხედავათ ამისა, რაც შეეხება მის, ვითომდა, კუდიანობა-თვალთმაქცობას—სოფლის ასეთი შეხედულება მასზე გადამეტებული უნდა ყოფილიყო, რასაც ის გარემოებაც ამოწმებს, რომ იყო ისეთებიც, რომელნიც და აქაც უმეტესად დედა-კაცები სალომეს თითქოს თანაგრძნობასაც კი უცხადებდენ: „სალომემ ბევრს უშვილო ქალს შეულოცა და შვილებიც შესძინაო“—ამბობდენ ისინი. და მართლაც, ხშირათ შეხვდებოდით თქვენ სალომეს ქოხში „საქიმოთ“ დაბინავებულ შორით მოსულ დედა-კაცებს, და არა ერთსა და ორს შეეძინა შვილი მისი „აქიმობის“ წყალობით, თუმცა—და ამას უფრო ხაზგასმით აღიარებდენ ხოლმე—მისი წამალი ყოველწლივ გასამეორებელი ხდებოდა ხოლმე...

რასაკვირველია, სალომესთან მამაკაცებიც დადიოდენ, უფრო კი უცოლოები, ალბათ „ბედ-იღბლის“ საცდელათ, როგორც იტყოდენ ხოლმე მათზე: სალომე მკითხაობასაც ეწეოდა.

ასეა თუ ისე, ეს კი ცხადია, რომ სალომესი თფილისში გადასახლება—ეს, სოფლელთა უმეტესის აზრით, სოფლის განწმენდას მოასწავებდა და მზაკვრობისაგან თავის დახწევას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასევე არ ფიქრობდენ სოფლელები სალომეს რძლის შესახებ: სალომე ანგელოზისებურ რძალს „გააკუდიანებსო“ იტყოდენ ხოლმე მასზე.

III.

სალომე შვილს ელოდა...

დარიკოს—ვასოს ახალგაზდა მეუღლეს—კარგა ხანია ქმრის მოლოდინში თვალზე ძილი არ მიკარებია, და ეს მით უფრო ახლა, როცა უკვე მოაწია ქმრისაგან დანიშნულმა დრომ მოსვლის შესახებ.

დარიკო თუმცა ღარიბის, მაგრამ სხვაფრივ კარგი დედ-მამის შვილი იყო. იგიც ქმარსავით გლეხის წოდებას ეკუთვნოდა, მაგრამ—მეზობლების თქმისა არ იყოს—ბევრ „აზნაურშვილ ქალს“ არ ჩამოუვარდებოდა ზრდილობითა და პატიოსნებით. ამბობენ, ვითომც ვასომ იგი მოიტაცაო. შესაძლებელია ეს აგრეც იყოს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ დარიკოს თავისი ქმარი ძლიერ უყვარდა.

ვასიკოც არ იყო მაინცა და მაინც ურიგო ხასიათისა და ზნის ყმაწვილი. მას არ ეტყობოდა მსგავსი რამ დედის გავლენისა. დაასრულა თუ არა სოფლის ერთკლასიანი სასწავლებელი, იგი მამასთან გაიქცა თფილისში, სადაც ეს უკანასკნელი ხარაზობდა. მამამ იგი დააყენა ერთ ნაცნობ მდიდართან ლაქიათ. მას აქით ვასო დაწინაურდა. 17 წლის იქნებოდა, როცა იგი—მამის სიკვდილის შემდეგ—სოფელში დაბრუნდა.

მეზობლებისაგან „გახელებული“—სალომეს სიტყვით რომ ვსთქვათ იგი მოუარდა დედას და მოკვლაც კი დაუპირა, თუ ეს უკანასკნელი თავს არ გაანებებდა გულთმისნობასა და თვალთმაქცობას. და, მართლაც, როგორც ამას სოფლელებიც იტყოდენ ხოლმე, ვასიკომ სახლი „გასწმინდა“...

ბოლოს, რადგანაც იგი დეთის—ერთა იყო, ვასიკო სალდათობასაც გადარჩა და დარიკოზე ჯვარი დაიწერა. ჯვარის დაწერის შემდეგ არ გასულიყო კიდევ სამი კვირა, რომ თფილისიდან ბარათი მიიღო, კოწიასაგან გამოგზავნილი.

კოწია ახალგაზდა მედუქნე იყო—ვასიკოს მეზობელი. მას საკუთარი დუქანი ჰქონდა თფილისში და ვასოსთან კარგი განწყობილება ჰქონდა.

საქმე მით დაბოლოვდა, რომ სამი კვირის შემდეგ ვასო თფილისში გაჩნდა „ძველ ხაზეინთან“. იგი რაღაც შემთხვევის წყალობით უეცრივ გამდიდრდა. ამბობენ, ვასომ ოქროთი სავსე ქისა იპოვა, რომელიც ინჟინერს დაკარგოდაო... ყოველ შემთხვევაში ვასომ იმდენი კი გააჩერხა, რომ 6 თვის შემდეგ საკუთარი სასტუმროც კი დაიქირავა.

ბარათი, რომელიც ახლა მისმა ცოლმა მიიღო, იყო პირველი და, როგორც ამას მკითხველიც დაინახავს, უკანასკნელიც, რომელიც დარიკოს მიუღია დღიდან მისი ქმრის თფილისში გამგზავრებისა.

IV.

... ის იყო, სალომემ კიდეც მიხურა კარები, და რძალ-დედამთილნი უნდა შესდგომოდენ უკვე ძილს, რომ ამ დროს გარედან ვიღაცას ძახილი მოისმა. დარიკოცა და სალომეც გახარებულნი ფიცხლავ ფეხზე წამოდგენ და ჭრაქით ხელში ეზოში გამოვიდენ ეგონათ, თუ ვასიკო კიდეც მოვიდა, მაგრამ მოსტყუვდენ: ნახეს, რომ ნიგვზის ხის ძირში პრტყელ ქვაზე იჯდა ვიღაც უცხო სტუმარი, ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილი.

ქალების დანახვაზე უცხო სტუმარი ფეხზე წამოდგა და მოკრძალვით მიეგება მათ.

—- საღამო მშვიდობისა, ქალნნო, მიესალმა მათ იგი.

დარიკო უცხო სტუმრის დანახვაზე შეკრთა, მსწრაფლ მადლი გადაუხადა სტუმარსა და მწრაფლვე ბინისკენ გამობრუნდა. სალომე კი ასეთი „ჩვეულებრივი“ სტუმრის დანახვაზე სრულებითაც არ შემკრთალა და შეეკითხა მას.

ვინა ბრძანდებით? კითხვა, მგონია, ურიგო არ უნდა იყოს?..

...ბული სამს აგვისტოს, ლიდიხუთს, ...ი-თერთმეტს. იმპერატორ ვილჰელმს ... სჯეროდა სასრაფო გამარჯვება, რომ ...ვის ამალის აფიცრებს ჰპატიჟობდა სა... ერთ ცნობილ პარიზის რესტორანში.

### პეტერბურგი.

...ბირჟ. ვედ." სიტყვით ბელგიაში და... პირველი დიდი ბრძოლა. მონაწი...ობს ორი მილიონი ჯარი, მათში 21 ...რპუსი საფრანგეთის ჯარისა, 3 კორ...ი ბელგიისა, 25 კორპუსი გერმანიისა და 1 ავსტრიის.

### კოპენჰაგენი.

ნიშიდან იტყობინებიან, რომ შესდგა ბალკანეთზე კავშირი იმ სახელმწიფოთაგან, რომელნიც რუსეთის მომხრენი არიან.

### პარიზი.

...კელნის შესანიშნავ ტაძარზე და სხვა ...ეკლესიებზედაც გერმანელებმა ზარბაზნები ...დგეს ჰაეროპლანებთან საბრძოლველად.

### პეტერბურგი.

მოვიდა პროკლამაცია პოლონურ ენაზე, რომელზედაც ფიქრობენ, რომ ავსტრიის მთავარ შტაბისაგან არის დაბეჭდილი. პროკლამაცია პოლონელებს ამბოხებისადმი მოუწოდებს და ურჩევს ავსტრიელებსა და გერმანელებთან შეერთებას. ამ პროკლამაციებმა მხოლოდ გულისწყრომა გამოიწვიეს პოლონელებში.

### ვარშავა.

გაზეთ „დენს" იტყობინებენ, რომ ჰაეროპლანებმა ვარშავის მიდამოებში პროკლამაციები გაავრცელეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ლიბკნეხტი.**

როგორც იტყობინებიან, ლიბკნეხტი არ დაუხვრეტიათ, იგი დატუსაღებულია და ამ ჟამად მოაბიტის სატუსაღოში იმყოფება.

**იტალია-მოღალატე.**

ბერლინში დიდი დემონსტრაცია გაიმართა იტალიის საელჩოს წინ. ხალხი ყვიროდა: „ძირს, მოღალატე იტალია"!

**გერმანიის ფინანსები.**

ინგლისელი ავტორიტეტიანი ეკონომისტები სტატისტიკურად ამტკიცებენ, რომ გერმანიას მხოლოდ სამს თვეს შეუძლიან ომის გაძლოლა. მიზეზად ფინანსიურ მდგომარეობას ასახელებენ.

**შვეცია და გერმანია.**

იმპერატორ ვილჰელმის ელჩმა შვეციის მეფეს წერილი გადასცა, რომელშიაც ვილჰელმი წინადადებას აძლევს შვეციამ გერმანიას მხარი დაუჭიროს. ჯილდოთ შვეციას ფინლიანდიის პირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ამბობს ვილჰელმი, იძულებული ვიქნები ნეიტრალიტეტი დავარღვიო და შვეციის ყოფნა-არყოფნის საკითხი დავაყენოო.

**ავსტრიის ფლოტი.**

უკანასკნელ ცნობებით ავსტრიის ფლოტმა მოტრანტოს ახლო გაიარა.

**რუმინია.**

რუმინიაში ინტენსიური, მაგრამ ოფიციალურად მალული, მობილიზაცია ხდება. მეფე გერმანიის მომხრეა და ამიტომ განზრახვა ქონდა სამინისტროს შედგენა კარპისთვის მიენდო.

**გერმანიის ფლოტი ფინლანდიის ყურესკენ მიდის.**

სტოკჰოლმიდან მიღებული ცნობით, გერმანიის 13 გემი ფინლანდიის ყურესკენ მიდისო. ალბათ უნდა პეტერბურგისკენ გაიჰრას. ამის მოლოდინში რუსებმა უკვე მიიღეს ზომები, და „ფინლანდიის გაზეთში" შემდეგი ოფიციალური განცხადებაა დაბეჭდილი: „ვინაიდგან მოსალოდნელია ისეთი გარემოება დადგეს, რომ იძულებული გავხდეთ მივმართოთ უკიდურეს ზომებს, სვეაბორგის ციხის კამენდანტი წინადადებას აძლევს ჰელსინგფორსის და მისი მიდამოების მცხოვრებლებს ეხლავე წინასწარ წავიდნენ სხვაგან. კომენდაიტს სასურველად მიაჩნია, რომ რაც შეიძლება მეტმა ხალხმა დასტოვოს ქალაქი, განსაკუთრებით იმათ, რომელთაც არც სახელოსნო აქვს და არც რაიმე სავაჭრო.

**კრეისერი „გებენი" და „ბრესლავი".**

როგორც დეპეშამ გვაცნობა, ოსმალეთმა შეიძინა გერმანიისაგან ორი სამხედრო გემი: „გებენი" და „ბრესლავი". „გებენი", რომელსაც ოსმალებმა „სულთან სელიმი" დაარქვეს, კრეისერი—დრედნოუტია; მისი წყალ წყვა 23 ათასს ტონს უდრის. „გებენი" შეიარაღებულია ათი თერთმეტ დიუმიან და თორმეტი ცხრა დიუმიან ზარბაზნითა და საათში 44 ვერსტს გადის. კრეისერი „ბრესლავი" პატარა გემია, მისი წყალ-წყვა 5 ათასს ტონს უდრის და საათში 49 ვერსტს გადის.

ამ ორი გემის შეძენა ფრიად მნიშვნელოვანია ოსმალეთისათვის, ვინაიდან იგი ზღვაზე ბევრად უფრო მძლავრი შეიქნა საბერძნეთის ფლოტზე და მასთან ფრიად საშიში.

შავი ზღვის რუსეთის ფლოტისათვისაც, რომელშიაც არცერთი სავსებით დასრულებული და შეიარაღებული დრედნოუტი არ შედის.

**ოსმალეთი და სომხები.**

გაზეთი „უტრო იუგა" სწერს: „ოსმალეთის მთავრობა პირდაპირ ემზადება რუსეთის წინააღმდეგ. ვანი და მისი მიდამოები მიტოვებულია, იქ ჯარი აღარაა. არზრუმში მხოლოდ ქვეითი ჯარის ერთი პოლკია და ცოტა არტილერია. შემდეგ არის ციხე ბაიბურთი, რომელსაც ამაგრებენ და სადაც სამხედრო მასალას აგროვებენ. ხოლო უმთავრესი ძალა მეოთხე კორპუსი შეკრებილია უფრო სამხრეთით ერზინგიანსა და სივასში. აშკარაა, ოსმალეთი ჯერჯერობით ნეიტრალიტეტს იცავს, მაგრამ ემზადება, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთის შესევას, მცირე აზიაში ოსმალეთი რუსეთის წინააღმდეგ ემზადება, სხვა მტერი იქ არა ყავს. რამდენად დაცემულნი არიან სულით თვითონ ოსმალოები, იმდენად აღფრთოვანებულნი არიან ოსმალეთისა და რუსეთის სომხები კავკასიაში. სომხები პირდაპირ საჯვაროსნო ომისთვის ემზადებიან ოსმალთა წინააღმდეგ, კოჰლებიც კი ითხოვენ ჯარში ჩაწერას".

**ბერლინში 19 ივლისს.**

„ბ. ც." ასე აგვიწერს ამ ისტორიულს დღეს, როცა გადაწყდა გერმანიისა და რუსეთის ომი: „კარეტა, რომელშიც ისხდენ ვილჰელმი და მეუღლე, ძლივს ახერხებდა გასვლას ურიცხვ ხალხს შუა. იმპერატორს უკან მოჰყვებოდენ მემკვიდრე ცოლითა და უფროსი ვაჟით; შემდეგ მოდიოდენ პრინცები, მინისტრები და გენერლები. ყველას, განსაკუთრებით მემკვიდრეს, აღფრთოვანებული, გახარებული სახე ჰქონდა, როგორც ისეთს ადამიანებს, რომელთაც შეუსრულდათ გულითადი საწადელი. მხოლოდ იმპერატორის სახე არაფერს ამბობდა, თითქოს ნიღაბი გადაკვროდაო. მარჯვნივ და მარცხნივ თავს უკრავდა ხალხს, მაგრამ ეტყობოდა, არას ხედავდა, არრა ესმოდა; გაფითრებული, გაჩუმებული იგი გაიცქირებოდა წინ. მაშინ, როცა მთელი ბერლინი აღტაცებით ევებებოდა ვილჰელმს, მარტო ერთი იგი იყო დაღუმებული, თითქოს ფიქრობდა იმ მძიმე პასუხისმგებლობის შესახებ, რომელსაც იმ წუთში თავის თავზე იღებდა".

**რაში გამოიხატება ინგლისის დახმარება.**

გამოუცხადა თუ არა გერმანიამ ომი რუსეთს მაშინვე ყველას ყური მიიპყრო ინგლისმა. ინგლისის ჩარევას ომში ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, და ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ყველა მოუთმენლად ელოდა ინგლისის პასუხს. პეტერბურგის გაზეთ „რეჩ"-ში აწერილია ის სცენები მოუთმენლობისა, რომელსაც იჩენდა ხალხი, სანამ გაიგებდა, რომ ინგლისი ჩაერია ომში. ეხლა იგივე „რეჩ"-ი ვარაუდობს, რაში შეიძლება გამოიხატოს ინგლისის დახმარება. „გარეშე საქმეთა მინისტრის გრეის სიტყვაში, სწერს „რეჩი", —რუსეთი ერთხელაც არ იყო ნახსენები. რუსეთისადმი ინგლისმა, როგორცა სჩანს, ის მცირე და ვალდებულებანიც კი არ ახსენა, რომლებიც საფრანგეთისადმი მიიღო. ყველაზე საგრძნობელი და დიდი საკითხი ჩვენთვის ის არის, როგორ დაგვეხმარება ინგლისი ბალტიის ზღვაზე, მოახერხებს, ან მოისურვებს თუ არა შეებრძოლოს გერმანიის ფლოტს, თუ ეს უკანასკნელი რუსეთის ნაპირებისკენ გაიწევს, ამ კითხვაზე ჩვენი ოფიციალური წრეები უარყოფითს პასუხს აძლევენ.

მიუხედავად ამისა, გაზეთის აზრით, ინგლისის დახმარებას მაინც მნიშვნელობა ექნება, რადგანაც ეხლანდელ ომში საფრანგეთის დახმარება რაოდენამდე რუსეთის დახმარებაც არის.

**ვილნოს სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის ბრძანება.**

16 ივლისს ვილნოს ოლქის ჯარების უფროსმა რენენკამპფმა შემდეგი ბრძანება დაუგზავნა თავის ჯარებს: „არც ერთმა სალდათმა, რომელსაც შევეკითხე, არ იცოდა თუ რისთვის, დავაბრუნეთ ასე მოულოდნელად ჯარები საზამთრო ბინაზე. გიბრძანებთ, დაუყონებლივ აუხსნათ სალდათებს ყველაფერის მიზეზი და მომავალში ყოველს სალდათს უნდა ესმოდეს, რას აკეთებს.

**გერმანიის საელჩოს სახლის განადგურება პეტერბურგში.**

22 ივლისს მრავალ რიცხვოვანი ბრბო თავს დაეცა გერმანიის საელჩოს პეტერბურგში, მილეწ მოლეწა ყველაფერი; ავეჯი და რაც რამ იყო სახლში გარედ გამოაგდო და მერე ცეცხლი წაუკიდა საელჩოს.

## საფრანგეთის ჯარი.

ომმა საფრანგეთს იმ დროს უსწრო, როცა სამი წლის ვადიანი სამხედრო ბეგარა ჯერ კიდევ ვერ არის განხორციელებული.

საფრანგეთის ხმელეთზე მომქმედი სამხედრო ძალები შესდგებიან მოქმედ ჯარისაგან, რომელშიაც შედის: საველე, ციხე სიმაგრეებისა, კოლონებისა, სათადარიგო და ტერიტორიალური ჯარები.

მომქმედ ჯარში მუდმივად ირიცხებიან საველე, ციხე-სიმაგრეებისა და კოლონების ჯარები, სათადარიგო ჯარი კი გამოდის მხოლოდ მობილიზაციის დროს. ტერიტორიალური ჯარი თავის რეზერვებით იკრიბება მობილიზაციის შემდეგ და ეწევა ქვეყნის შიგნითა თავ-დაცვის საქმეს.

საფრანგეთის ჯარი შესდგება 21 კორპუსისგან, ტუნისის საოკუპაციო დივიზიისა და სხვა საკავალერიო დივიზიისაგან. ამ კორპუსებთაგან 20 ევროპაში იმყოფება და ერთი ალჟირში.

თვითეული ფრანგული კორპუსი ისე დეტალურად არის მოწყობილი, რომ წარმოადგენს პატარა დამოუკიდებელ არმიას. კორპუსი შესდგება 2—3 დივიზიისაგან ქვეითა ჯარისაა, 2—3 პოლკ. ცხენოსანჯარისა, 12 საარტილერიო ბატარეისაგან, როტა საპიორებისაგან და კიდევ შემდეგ ნაწილებისგან: ხიდების მკეთებელ, ნაღმების, ტელეგრაფის, საინჟინერო, სასურსათო, სარემონტო და საველე პურის საცხობ განყოფილებათაგან. ამას გარდა ყოველ კორპუსს ჰყავს 150 სული საკლავი და რვა საველე ჰოსპიტალი. ამას გარდა კორპუსს ემატება სათადარიგო დივიზია და ცხრა ბატარეია სათადარიგო არტილერიისა.

კორპუსის რაოდენობა დამოკიდებულია მაზე, შედის თუ არა მასში სათადარიგო დივიზია; თუ კორპუსში ეს დივიზია შედის, მაშინ მასში ირიცხება 42000 კაცი 180 ზარბაზნით, თუ არ შედის—30000, 144 ზარბაზნით.

როგორც გერმანიაში, საფრანგეთშიც მიღებულია ტერიტორიალური სისტემა ჯარის კომპლექტებისა. ამიტომ საფრანგეთში მობილიზაცია სასწრაფოთ სწარმოებს.

ომის დროს საფრანგეთს პირველ რიგში გამოჰყავს 1,096 ბატალიონი, 587 ესკადრონი და 823 ბატარეა.

ოფიცერთა კორპუსი შესდგება სამხედრო სასწავლებელ დამთავრებულთა პირისაგან. ამისთვის საფრანგეთს სკოლები აქვს სენ-სირში, სომიურში, ს. მექსანში, ვერსალში და სხვა.

## საფრანგეთის ჯარის მთავარ-სარდალი ჟოზეფ ჟოფრი.

საფრანგეთის ჯარის მთავარ-სარდალი გენერალი ჟოზეფ ჟოფრი დაიბადა 12 იანვ. 1852 წ. ქალაქ ლივეზალტში, აღმოსავლეთ პირენეების დეპარტამენტში. სამხედრო განათლება მიიღო სენსირის სკოლაში.

1870 წელს, საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს, ჟოფრი ჯერ კიდევ იუნკერი იყო. ამრიგად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ პატარა ომებს, რომელიც ჰქონდა საფრანგეთს აფრიკაში,—გენერალ ჟოფრისთვის ახლანდელი ომი პირველია, რომელშიც იღებს მონაწილეობას.

მიუხედავათ ამისა, ჟოფრის სამხედრო ნიჭი, როგორც ჯარის ორგანიზატორისა, ეჭვს გარეშეა. 1908 წელს მან კორპუსის უფროსობა მიიღო. 1910 წელს სამხედრო საბჭოს წევრად დაინიშნა, 1912 წელს კი ფრიად პასუხსაგები გენერალურ შტაბის უფროსის ადგილზე განამწესეს.

თანახმად 1911 წლის კანონისა, საფრანგეთის მეომარ ჯარის მთავარსარდლობა იმ პირს ეძლევა, ვინც ომის გამოცხადების დროს მთავარ შტაბის უფროსათ ირიცხება. თანახმად ამ კანონისა საფრანგეთის მომქმედ ჯარის მთავარ-სარდლობა გენერალ ჟოფრს ებოძა. საფრანგეთის ჯარის გენერალურ შტაბის უფროს ორი თანაშემწე ჰყავს. ეს ადგილები ამ ჟამად გენერლებ ბელენს და ლეგრანს უჭირავთ. იმავ 1911 წლის კანონის ძალით, ომიანობის დროს, ერთს ეძლევა გენერალურ შტაბის უფროსობა, მეორეს საველე შტაბისა.

## ქუთაისი

**ახალი ამბავი.**

2 აგვისტოს ქუთაისის ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ჩიქოვანმა მის ბრწყინვალებას მეფის მოადგილეს კავკასიაში შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის სახელით უმორჩილესად ვშუამდგომლობ თქვენის ბრწყინვალების წინაშე განართხოთ ფერხთა ქვეშე **მისის იმპერატორებითი უდიდებულესობისა და საყვარელის მეფისა** უქვეშევრდომილესი და უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით აღსავსე გრძნობანი ქუთაისის ქალაქის მცხოვრებთა. ვსასოებთ-რა ყოვლად უზენაესის მოწყალებაზე და ვიმედოვნებთ-რა, რომ ძლიერი რუსეთი გმირულათ მოიგერიებს ვერაგ მტერს,—გაორკეცებულის ძალით შეუდგება კულტურულ მუშაობას რუსეთის მრავალრიცხოვან ხალხთა საკეთილდღეოთ. დღეს გუბერნატორისა და აუარებელ მლოცველთა თანადასწრებით საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნა პანაშვიდი, რათა ღმერთმა მოანიჭოს გამარჯვება რუსეთის სახელოვან მხედრობას".

31 ივლისს იმავე ბ-ნმა ჩიქოვანმა ფინანსთა მინისტრსაც გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: „თანახმად ქუთაისის ვაჭართა და მრეწველების დაბეჯითებითისა და სამართლიანის თხოვნისა, უმორჩილესად ვშუამდგომლობ თქვენის მაღალაღმატებულების წინაშე, რათა ძალა 25 ამა ივლისს გამოცემულ უმაღლეს ბრძანებისა 17 ივლისამდე გაცემულ ვექსილების პროტესტებისა და ამ ვექსილების განაღდების შესახებ გავრცელებულ იქნეს ქუთაისზედაც. ეს განსაკუთრებული ზომა გამოწვეულია არა მარტო სამხედრო დროის პირობებით, არამედ მთავრობისაგან აღიარებულ იმ გარემოებითაც, რომ მთელს გუბერნიაში მოსავალს პირი არ უჩანს, და მცხოვრებლები იძულებულნი არიან მთავრობას დახმარება სთხოვონ. გარდა ამისა სრულებით შესწყდა ჰიათურ... მავლის წარმოება, რაც უმთავრესი წყარო იყო მთელი გუბერ... ცხოვრებისა. ზემოხ... თის მიუცემლობა გამოიწვევს მძრწოლასა და ვაჭარ-მრეწველთა ნივთიერად დამხობას.

◆ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მომავალი 1914—15 სასწავლო წლისათვის საჭიროა შემდეგი საგნების მასწავლებელნი,—უფროს კლასებში: **რუსული სიტყვიერებისა, ლათინურისა და ფრანგული ენებისა.** თხოვნები და დოკუმენტები უნდა გამოგზავნონ გიმნაზიაში 20 აგვისტოს.

◆ ქუთაისის სამეურნეო საზოგადოებამ სამიწადმოქმედო დეპარტამენტიდან წინადადება მიიღო, რომ მან დაუყონებლივ გადაჰრით უპასუხოს დეპარტამენტს, თუ რა ტიპის სასწავლებლათ სურთ გადააკეთონ ქუთაისის სამეურნეო სკოლა. საზოგადო სამეურნეოთ, თუ სპეციალურ მეღვინეობის და მებაღეობის სასწავლებლათ. ამის შესახებ ქუთაისის სამეურნეო საზოგადოებას მსჯელობა კიდეც ჰქონდა და დაადგინა ხსენებული სკოლა გადაკეთდეს მებაღეობისა და მეღვინეობის სასწავლებლათ.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა; ქალაქ ქუთაისისა, ქუთაისის მაზრისა, შორაპნისა, ლეჩხუმისა და რაჭის მაზრების მცხოვრებლების საყურადღებოთ პირველ აგვისტოდან შემდეგი სავალდებულო დადგენილება გამოსცა:

1) აკრძალულია არაკეთილსინდისიერათ სანოვაგის ფასის აწევა, ან გაყიდვის შეჩერება იმ მოსაზრებით, რომ ბაზარზე ფასმა მოიმატოს;

2) სასტიკათ აკრძალულია ჩარჩ-ვაჭრებისგან გზაზე სოფლელების დახვედრა და სანოვაგის ყიდვა, სანამ ისინი ბაზარში შემოვიდოდენ;

3) აკრძალულია მუშაობის შეჩერება ქარხნებში და სხვადასხვა დაწესებულებებში, რაც ხალხს სიმშვიდეს უფრთხობს.

ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევი დაისჯება 3 თვის ციხით, რაც ჯარიმათ შეეცვლება 3,000 მან. წარდგენით.

◆ შაბათს, 3 აგვისტოს, ქალაქ. საავათმყოფოში ტრაღიკულათ გარდაიცვალა ქუთაისის განყოფილების წ. კ. გამ. საზოგადოების სტამბის გამგე **გიორგი სულეიმანიშვილი.**

◆ როგორც ქ. ოზურგეთიდან გვწერენ, 31 ივლისს სამინისტროდან განკარგულება მოსულა, რის ძალითაც მომავალი ხაზინის შენობის შენება შეჩერებულა.

◆ ამ ჟამად ქუთაისში მეფურნეები დუდ პურს აცხობენ, პურში ყოველივე სიბინძურე არის.

◆ ამ დღეებში ქუთაისში გამოვა ალმანახი **„ქუთაისის საქმიანობა"** ილ. ბახტაძის რედაქტორობით. ალმანახში დიდი ადგილი ექნება დათმობილი ქუთაისის ქალაქის გამგეობის მოღვაწეობას.

◆ ქუთაისში მცხოვრებმა კონსტანტინე მინაშვილმა ქალაქ. გამგეობაში შუამდგომლობა აღძრა, რომ მას ნება დართონ ბალახვანის ქუჩაზე, მურმანოვის შესახვევის გასწვრივ, მდ. რიონზე გააკეთოს ბორანი.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესი სამართველო აცხადებს საყოველთაოდ, რომ **მომქმედ ჯარში ჯარის კაცთათვის დაზღვეულ ამანათების გაგზავნა აკრძალულია.**

◆ როგორც შევიტყეთ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ბ. ვიშნევსკი ქ. პიატიგორსკიდან ამ დღეებში დაბრუნდება.

◆ 14 ივლისს სვანეთში მოვიდა დიდი წვიმა, მდინარეები კალაპოტებიდან გადმოვიდენ, წაიღეს ხიდები ერთიანად მულახიდან ჯვარამდი. ბევრგან გზები სრულიად გააფუჭა წყალმა. წისქვილები წალეკა. ზარალი საგრძნობელია.

◆ სოფ. ჩილურში მგზავრს ლვდელს გიორგი ფალიანს მოჰპარეს ცხენი. მაზრის უფროსმა წინადადება მისცა სოფელს: ან აღმოაჩინოს ქურდი, ან უზღოს ცხენის ფასი.

◆ გუშინ ჩვენ გვქონდა გამოცხადებული, რომ ჩვენი გაზეთის 120-ე №-ში მოთავსებული ფელეტონი ეკუთნის თამარაშვილს, რაც შეცდომაა: ფელეტონი ეკუთნის თამარა მესხი—აბდუშელიშვილს.

◆ როგორც სახალხო ფურცელი გადმოგვცემს, ვ. გელოვანი იტყობინება: რადგან დამაგვიანდა და პეტერბურგს

---

— უკაცრავათ ქ-ნო, მე მგზავრი გახლავარ; გზაზე შემომაღამდა და მეზობლებმა აქ თქვენთან მომასწავლეს: „სტუმართ მოყვარე ბძანდებაო", და, თუ შეიძლებოდეს, ამაღამ ღამის გასათევი ბინა ჩვენ გვიშოვოთ,—და ამ სიტყვებთან ერთად სტუმარმა სალომეს ოქროთი სავსე ქისა მიაწოდა... სტუმარი ისე იქცეოდა, თითქო შეზარხოშებული უნდა ყოფილიყოს. სალომე პირველათ შეყოყმანდა კიდეც: „რა ვქნა, თქვენი მიღება ცოტა მეძნელება... თანაც შვილსაც მოველი... მაგრამ თქვენისთანა პატიოსან სტუმარს აბა უარი როგორ გაგიბედოთ...

— ეს ფული შეინახეთ—ამ ქისაში 500 მ. ფულია და მე კი—რომ არ შეგაწუხოთ, ამ ხის ქვეშ მოვისვენებ...

სალომეს ფულის დანახვაზე აზრი დაებნა: მან აღარ იცოდა, სად იყო...

ათასნაირმა ფარულმა ფიქრებმა გაუელვეს მას თავში... მას დაავიწყდა შვილიცა და თავის თავიც კი... მან თამამათ გაუწოდა სტუმარს ხელი ფულის გამოსართმევათ.

— დარიკო, სადა ხარ—გენაცვალე! მოდი აქ. გაიცანი ეს სტუმარი—მიაძახა სალომემ რძალს და შემდეგ სტუმარს მიმართა: მობძანდით შინ.

სალომემ 500 მ. შეინახა.

ტყუილა ცდილობდა დარიკო—დაერწმუნებინა სალომე წინააღმდეგში: სალომემ მაინც „თავისი გაიტანა", და სტუმარმაც თავისუფლად მოიკალათა სალომეს ოთახში ღამის გასათევად.

(დასასრული იქნება)

სევ. მუსხრიძე.

სავაჭრო სახლი **ი. გოკიელის** შვილების ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, **ზოგიერ ფასებში** მიღებულია და იყიდება საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის **ჯიბის დანები**, პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილობა ქ. ქუთაისში.

**ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.** მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანადდი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.

პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

**Тифлисская контора Акціонернаго Общества пробочной мануфактуры ВИКАНДЕРЪ и ЛАРСОНЪ**

симъ имѣетъ честь довести до свѣдѣнія почт. покупателей, что нашъ „ЛИБАВСКІЙ ЛИНОЛЕУМЪ" въ КУТАИСѢ имѣется въ продажѣ исключительно въ магазинѣ Ф. С. ФИЛИППОВА. Въ виду того, что въ газетѣ „ИМЕРЕТИ" недавно появилось объявленіе одной кутаисской фирмы, съ предложеніемъ „Либавскаго Линолеума", считаемъ своимъ долгомъ предупредить лицъ интересующихся этимъ матеріаломъ, что названіе „Либавскій Линолеумъ" принадлежитъ только производству нашихъ заводовъ и что помимо Ф. С. Филиппова въ Кутаисѣ на линолеумъ у насъ перепродавцовъ нѣтъ. Рекомендуя этотъ фабрикатъ какъ лучшую и гигіеничную настилку для половъ просимъ за смѣтами и другими справками обращаться къ названной выше фирмѣ.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალიერისა ქ. ქუთაისში.

**ფ. ს. ფილიპოვისა.** ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის" სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.

პატივისცემით ფ. ფილიპოვი.


დროზე ვერ ჩაჰედი, ამიტომ არ ყოფილა წაკითხული ქართველების განცხადება სახელმწიფო სათათბიროში.

✦ 4 ივლისს ქალაქის სანიტარმა, ილია ჩაჩანიძემ, ჩამოიარა მეფურნეები და ქალაქის ლაბორატორიაში გამომცხვარი პურები გაგზავნა შესამოწმებლათ.

✦ ქალაქის საავათმყოფოს ივლისის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია 3839 მან. და 18 კაპ., გასავალი 3834 მან. და 28 კაპ., დარჩენილა სულ: 4 მან. და 18 შაური.

✦ გუშინ ქ. სატუსაღოდან გაათავისუფლეს ამასწინათ ღ. ჭიათურაში დაპატიმრებული გრ. ფხალაძე.

✦ რედაქციამ მიიღო სასოფლო გაზეთის მორიგი ნუმერი.

## განცხადება.

თფილის ფოშტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი:

მომქმედ ჯარში წერილების, ტელეგრამებისა და საზოგადოთ ფოშტის გასაგზავნ ამანათების წესიერი გადაგზავნის უზრუნველსაყოფათ ფოშტა-ტელეგრაფის უმთავრესმა სამართველომ, საგენერლო შტაბის უმთავრეს სამართველოსთან შეთანხმების თანახმათ, შესაფერისათ სცნო წერილების, ტელეგრამებისა და სხვა ფოშტით გადასაგზავნ ამანათებისათვის 29 ივლისიდან შემოელო შემდეგი წესი:

ა) მომქმედ ჯარისადმი მიმართულ დეპეშების, წერილებისა და ფოშტის გადასაგზავნ ამანათების მისამართზე (ადრესზე) აღნუსხული უნდა იყოს მხოლოდ ჩინი, სახელი, მამის სახელი და გვარი მიმღების და აგრეთვე სახელწოდება იმ ნაწილისა ან დაწესებულებისა, რომელშიაც წერილისა თუ ამანათის მიმღები მსახურებს.

მაგალითად, ამგვარათ: 1. მოქმედ ჯარში მეორე ქვეითი ჯარის დივიზიის შტაბში **კაპიტანს** ამასა და მას (სახელი და გვარი მიმღებისა); 2. მოქმედ ჯარში მე-5 კალუგის ქვეითი ჯარის პოლკის მეშვიდე როტაში **უნტერ ოფიცერს** ამასა და ამას (სახელი და გვარი მიმღებისა). 3) მოქმედ ჯარში საველე მოძრავ გოსპიტალში **№ 7 ფერშალს** ამასა და ამას (სახელი და გვარი მიმღებისა).

ბ) წერილებისა და დეპეშების მისამართზე ჯარის ნაწილისა და სამხედრო დაწესებულებათა ბინის ჩვენება აკრძალულია. ხოლო ბინის ჩვენებით წერილები არ გაიგზავნებიან.

გ) უბრალო წერილები, რომლის წონაც შვიდ მისხალს არ აღემატება, და აგრეთვე ღია ბარათები ჯარში ყველა მოსამსახურის სახელზე მუქთად გაიგზავნებიან.

## დაბა-სოფელი.

**ს. ჭალა.** (შორაპნის მაზრა) დიდიხნის სიცხეების შემდეგ 29 ივლისს გაავდარდა, რომელმაც ერთის მხრით გაახარა მცხოვრებნი, ხოლო მეორე დღეს, ე. ი. 30 ივლისს, ამავე ჭალის მთაში დაკრა ძლიერმა რეშმა, მოადიდა უზომოთ მდინარე ყვირილა, რომელიც ჩამოდის შუა სოფელზე,—დაანგრია გაღმა-გამოღმა სანაპირო ადგილები და ბოგირები, დაგლიჯა ძირიანად და წაიღო ხეები ემსხვერპლა რამდენიმე ადამიანის სულიც და წალეკა ახლო-მახლო ყანები და ვენახები, რომლითაც საკმაოდ დაზარალდა მდინარის მახლობლად მცხოვრები საზოგადოება.

—

**დ. ტყიბული.** ამ ომიანობის დროს დიდ სიხარულს მიეცენ ტყიბულის ვაჭრები. თითქმის ყველა ვაჭარმა გააძვირა პურის ფქვილი, სიმინდი და მარილი. ფქვილი, რომელიც აქამდის იყიდებოდა ერთი ტომარა (ექვსი ნუმერი) 8 მან. 50 კაპ., ახლა ყიდიან 10 მანეთად. სიმინდი, რომელიც მოტანიანათ უჯდებათ 18 შაურათ, ახლა ყიდიან 7 აბაზათ. მარილი წინათ იყიდებოდა 7 შაურათ, ახლა კი—2 აბაზათ. დროა თვით ადგილობრივმა ხალხმა და ადმინისტრაციამ მიაქციოს ყურადღება ამ ვაჟბატონებს, რომ მათ გაუმაძღრობას საზღვარი ჰქონდეს. თუ საჭიროებამ მოითხოვა და მათ თავი არ დაანებეს სანოვაგის გაძვირებას, იძულებული ვიქნები მათი ვინაობა გამოვამჟღავნო.

„აქ მყოფი".

—✦—

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯაიანი.**





ქუთაისი. დაიბეჭდა და იყიდება
თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

შემდეგი ახალი **საკუთარი** გამოცემები:

„მამულის სიყვარული და მსახურება"—ნ. ნიკოლაძისა ფ. 1 აბაზი
„ხუცური ანბანი" და კარიჭაშვილისა . . . ფ. 1 აბაზი
„ლოცვანი" მღვდ. პლ. ცქიტიშვილისა 2 შაური (ყდით 3 შაური)
„შაქარას ნაამბობი"—ს. ყიფიანის . . . 3 კაპ.
„ქართული მოძრავი ანბანი" . . 2 შაური (კარდონზე 10 შაური)

—

იბეჭდება და მალე გამოვა დასურათებული სახელმძღვანელო „გუთანი", მესამე გამოცემა.

**განცხადება.**

**ქუთაისის სააზნაურო ქართულ გიმნაზიაში** მომავალი სასწავლო წლისთვის ვაკანსიები არც ერთ კლასში არ მოიპოვება. თავისუფალი ვაკანსიები იქნება მოსამზადებელი კლასის პირველსა და მეორე განყოფილებებში და თხოვნები (წლოვანობის, წოდების და აცრის მოწმობებით) 25 აგვისტომდი უნდა წარმოადგინონ.

მისაღები ეგზამენები მოხდება 28 აგვისტოს

ხელახალი ეგზამენებისთვის მე 5, 6 და 7 კლასების მოსწავლეები 21 აგვისტოს უნდა გამოცხადდენ, დანარჩენ კლასებისა და განყოფილებათა მოწაფეები კი -25 აგვისტოს.

ქუთ. სააზ. ქართული გიმნაზიის გამგის მაგიერ გ. ცაგარეიშვილი.

**შექსპირი ქართულად!**

გამოცემა **ივანე მაჩაბლის** თარგმანებისა.

**მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ**

**შექსპირის**

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიუს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოსცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველი** შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს -1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში**: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ"-ში გამომცემელი **ქნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.

**✖ ✖ წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა ✖ ✖**

იბეჭდება და მალე გამოვა გასაყიდათ:

არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი სავარჯიშოების **კრებული** პირველ დაწყებითი შკოლებისათვის, შედგენილი ქუთაისის სააზნაურო შკოლის მასწავლებელთა მიერ.

კრებული დასურათებულია და ღირს 7 შაურად.

**თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა**

კურსების მადნეული წყლის **აბანო.**

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კურსების აბანო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**

**მუშაობს**

ხრესილის მადნეული წყლის

ძმ. ყორყოლაძეების

**სამკურნალო აბანო.**

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში" ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის".

**ნ. ს. ტერკის მაღაზია**

ქუთაისში

**ველოსიპედები**




შინები, ნაწილები და მოწყობილობანი კონკურენციის გარეშე

ყველაზე იაფად

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

**ქუთაისში.**

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუღალტერო კურსები**

**გ. გ. გიგინეიშვილისა**

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიში.

კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე: გ. გ. გიგინეიშვილი.


სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა სახლი, გოკიელოვის.